სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 ნოემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-02/212

ბსუ-ს სტუდენტებისათვის საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,სს საქართველოს ბანკთან ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის სწავლის საფასურის დაფარვის სპონსორობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 10 აგვისტოს №07-01/34 გადაწყვეტილებისა** და სტუდენტების დაფინანსების შესახებ ბსუ-სა და სს საქართველოს ბანკს შორის გაფორმებული **2023 წლის 31 აგვისტოს NM8952 ხელშეკრულების**, ,,საქართველოს ბანკის სტიპენდიის დაწესების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/57 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ,,ბსუ-ს სტუდენტებისათვის **საქართველოს ბანკის სტიპენდიის** დანიშვნისა და გაცემის თანდართული წესი **(დანართი 1).**

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები", ,,სტუდენტის გზამკვლევი").

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის
N 01-02/212 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს სტუდენტებისათვის საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბსუ) სტუდენტთათვის საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი (შემდეგში - სტიპენდიის წესი) ადგენს ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული **და აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს 5 სტუდენტისათვის** საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის რეგულაციას.
2. საქართველოს ბანკის სტიპენდია შეადგენს ერთი სემესტრის სწავლის საფასურს - **1125 ლარს** და გაიცემა ერთჯერადად.
3. საქართველოს ბანკის სტიპენდია შეიძლება დაენიშნოს ბსუ-ს სტუდენტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) არის ბსუ-ს საბაკალავრო ან მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ან დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **აქტიური სტატუსის მქონე** სტუდენტი (გარდა პირველი და დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტისა);

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის მიხედვით სასწავლო კურსების შეფასებები (წინა სემესტრში, როგორც ძირითადი ან/და დამატებითი პროგრამით ან/და საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებული თავისუფალი კომპონენტში/სასწავლო კურსში) - მიღებული ქულები, ,,საშუალო შეწონილი'' ფორმულით, აქვს **91 ან მეტი და** წინა **სემესტრში ათვისებული აქვს არანაკლებ 25 კრედიტი;**

გ) საქართველოს ბანკის სტიპენდიის მიღების პერიოდში (მიმდინარე სემესტრში) არ უნდა იღებდეს სხვა სტიპენდიას ბსუ-ში, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა;

დ) არ ფლობს 100%-იან სასწავლო გრანტს ან მისი სწავლის საფასური 100%-ით არ ფინანსდება რომელიმე სხვა წყაროდან;

ე) **სასურველია** ჰქონდეს სამეცნიერო აქტივობა (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).

4. საქართველოს ბანკის სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით სემესტრულად, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში. და შესაბამის განცხადებასთან ერთად ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.
5. საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით, ხოლო კონკურსი უნდა ჩატარდეს კონკურსის გამოცხადების აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

6. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) წინამდებარე წესით დადგენილი კონკურსის პირობები (შესარჩევი კრიტერიუმები);

   ბ) წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა;

   გ) სტუდენტის განაცხადისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა და ადგილი;

   დ) კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადა.

7. საქართველოს ბანკის სტიპენდია ინიშნება და გაიცემა ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (სასწავლო პროცესის დეპარტამენტის, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით).

8. კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსნება კონკურსიდან შემდეგ შემთხვევებში:

   ა) თუკი წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია, არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.) ან არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც დასტურდება ბსუ-ში არსებული დოკუმენტაციით/ინფორმაციით/მონაცემებით;

   ბ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი ან პირველი, ბოლო ან დამატებითი სასწავლო სემესტრის სტუდენტია;

   გ) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონეა (გარდა იმ სტუდენტისა, რომელსაც ბსუს გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის გამო, დადგენილ ვადაში ასათვისებელი აქვს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები);

   ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამების მოთხოვნები (მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია);

   დ) თუკი ფლობს 100%-იან სასწავლო გრანტს ან მისი სწავლის საფასური 100%-ით დაფინანსებულია რომელიმე სხვა წყაროდან;

   ე) საქართველოს ბანკის სტიპენდიის მიღების პერიოდში (მიმდინარე სემესტრში) კონკურსანტი იღებს (მიიღებს) სხვა სტიპენდიას ბსუ-ში (გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა).

9. ბსუ-ს რექტორმა, ამ წესის მე-8 პუნქტში აღნიშნული ან სხვა შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, თუკი გამოვლინდა, რომ სტიპენდიანტი ვერ აკმაყოფილებდა სტიპენდიის დანიშვნისათვის ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაძლოა გამოსცეს ბრძანება სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

10. სტიპენდიანტების შერჩევის მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, რექტორის მოადგილის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის და იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის ჩართულობით.